ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4754682

ნომერი: AR1717717

თარიღი : 09.11.2019

გაცემის თარიღი : 18.11.2019

გაცნობის თარიღი : 18.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 8; ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის დასახლება, I მ/რ, კორპ. 1-ის წინ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09

ნოემბერს NAR717717 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის № 4573648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის № 4573648 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, I მ/რ, კორპ. 1-ის წინ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №: 01.10.06.010.013), მრავალფუნქციური შენობის (სკვერით) არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 18 სექტემბრის № 4675870 ბრძანებით ქ. თბილისში, ურეკის ქუჩაზე, ფარნავაზ მეფის გამზირი, N8-ში (საკადასტრო კოდი №01.10.06.010.022), და ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, I მ/რ, კორპ. 1-ის წინ (საკადასტრო კოდი №01.10.06.010.013), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 18 სექტემბრიდან 2022 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4712128 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 18273.4კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 7478.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1931.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2246.0კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 2724.2კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობად 3835.3კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საერთო ფართობად 18273.4კვ.-ის ნაცვლად 18270.7კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 7478.8 კვ.მ-ის ნაცვლად 7479.8კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1931.3კვ.მ-ის ნაცვლად 1927.6კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 18270,7კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 7479,8კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1927.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573648 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის № 4573648 და 2019 წლის 15 ოქტომბრის №4712128 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.